## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის დამტკიცებული ბიუუეტის შემოსულობები განისაზღვრებოდა 12 733,0 ათასი ლარი, პირველ კვარტალში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად შემოსულობები გაიზარდა 6 779,1 ათასი ლარით და ამ ეტაპზე განსაზღვრება 19 512,1 ათ. ლარით.

პირველი კვარტლის ბიუჯეტის გეგმამ შემოსულობების ნაწილში შეადგინა 4 295.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 2 663,6 ათასი ლარის შემოსულობები და შემოსულობების კვარტალური გეგმა შესრულებულია 62 %-ით.

**ცხრ. N 1**

| | 2023 წლის გეგმა | | | პირველი კვარტალი | | | 2023 წლის პირველი კვარტლის შესრულება | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მათ შორის | | | მათ შორის | | | მათ შორის | | |
| | სულ | სახ. ბიუჯეტის ფონდით | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახ. ბიუჯეტის ფონდით | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახ. ბიუჯეტის ფონდით | საკუთარი შემოსავლები | |
| შემოსულობები | 19 512,1 | 6 399,7 | 13 112,4 | 4 295.0 | 1 483,0 | 2 816,4 | 2 663,6 | 471,1 | 2 192,5 | 62,0 |
| გადასახადები | 10 918,0 | 0,0 | 10 918,0 | 2 350,0 | 0,0 | 2 350,0 | 1 761,4 | 0,0 | 1 761,4 | 75,0 |
| ქონების გადასახადი | 2 450,0 | 0,0 | 2 450,0 | 150,0 | 0,0 | 150,0 | -246,7 | 0,0 | -246,7 | -163,9 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 650,0 | | 650,0 | 150,0 | | 150,0 | -240,3 | | -240,3 | -160,2 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 900,0 | | 900,0 | 0,0 | | | -10,0 | | -10,0 | |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 900,0 | 0,0 | 900,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 3,6 | 0,0 | 3,6 | |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 8 468,0 | | 8 468,0 | 2 200,0 | | 2 200,0 | 2 008,1 | | 2 008,1 | 91,3 |
| გრანტები | 7 099,7 | 6 399,7 | 700,0 | 1 678.5 | 1 478.5 | 200,0 | 671,1 | 471,1 | 200,0 | 40.0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 240,0 | 240,0 | 0,0 | 60,0 | 60,0 | 0,0 | 60,0 | 60,0 | 0,0 | 100,0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი ტრანსფერები ცენტრალური სსიპ-ებიდან (საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და საჯარო სკოლების რეაბილიტაცია) | 1 015,7 | 1 015,7 | | 398,5 | 398,5 | | 289,7 | 289,7 | | 72,7 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 5 844,0 | 5 144,0 | 700,0 | 1 224,4 | 1 024,4 | 200,0 | 321,4 | 121,4 | 200,0 | 26,2 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 3 644,0 | 3 644,0 | | 1 024,4 | 1 020.0 | | 121,4 | 121,4 | | 11,9 |
| სპეციალური ტრანსფერი | 800,0 | 100,0 | 700,0 | 200,0 | | 200,0 | 200,0 | 0,0 | 200,0 | 100,0 |
| სხვა შემოსავლები | 1 444,4 | 0,0 | 1 444,4 | 253,9 | 0,0 | 253,9 | 231,1 | 0,0 | 231,1 | 91,0 |
| პროცენტები | 50,0 | | 50,0 | 12,5 | | 12,5 | 29,2 | | 29,2 | 233,7 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 70,0 | | 70,0 | 10,0 | | 10,0 | 22,6 | | 22,6 | 225,8 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 45,0 | | 45,0 | 11,3 | | 11,3 | 19,3 | | 19,3 | 171,1 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 5,0 | | 5,0 | 1,0 | | 1,0 | 0,2 | | 0,2 | 21,9 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 55,0 | | 55,0 | 13,750 | | 13,750 | 25,4 | | 25,4 | 184,5 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 1 219,392 | | 1 219,4 | 205,4 | | 205,406 | 100,701 | | 100,701 | 49,0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (წინა წელს გადარიცხული და მიმდინარე წელს უკან დაბრუნებული სახსრები) | 0,0 | | | 0,0 | | | 33,8 | | 33,788 | |
| არაფინანსური აქტივების კლება | 50,0 | 0,0 | 50,0 | 12,5 | 0,0 | 12,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

გადასახადები დაგეგმილი 2 350,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 1 762,0 ათასი ლარი, დაგეგმილის 75%, რაც მთლიანად გამოწვეულია წინა წელში მიღებული ქონების გადასახადიდან 245,8 ლარის უკან დაბრუნებით. ქონების გადასახადის ყველაზე მსხვილი გადამხედელები არიან სს სააქართველოს რკინიგზა და შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების საამშენებლო კომპანიის ფილიალი საქართველოში.

პირველ კვარტალში დამატებითი ღირებულების 2 200,0 ათასი ლარის გადასახადიდან მიღებულია 2 008,1 ათასი ლარი, გეგმის შესრულების პროცენტი შეადგენს 91,3 %-ს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დღგ -დან შემოსულია 355,0 ათასი ლარით მეტი გადასახადი. 2022 წლის პირველ კვარტალში მიღებული იყო 1 653,1 ათასი ლარი;

**სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერებიდან** მუნიციპალიტეტმა პირველ კვარტალში მიიღო 671,1 ათ. ლარი, აქედან, მიზნობრივი ტრანსფერი მიღებულია 349,7 ათ. ლარი, მ.შ სამხედრო სამსახურის და საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის 60,0 ათასი ლარი, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის საქ. მთავრობის 2023 წლის N 147 განკარგულებით 289,7ათ. ლარი.

კაპიტალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 121,4 ათასი ლარი- საქ. მთავრობის N 2 475 განკარგულებით გზების რეაბილიტაციისათვის. სპეციალური ტრანსფერი ფინანსური დახმარებისათვის 200,0 ათასი ლარი.

გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაზრდილია მიღებული ტრანსფერების ოდენობა 117,1 ათასი ლარით, 2022 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული გვქონდა 554.0 ათასი ლარის ტრანსფერი.

**სხვა შემოსავლების გეგმა პირველ კვარტალში** განისაზღვრა 253.9 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 231.1 ათასი ლარის სხვა შემოსავლები და გეგმა შესრულებულია 91%პროცენტით, ამასთან გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით სხვა შემოსავლები შემოსულია 108,1 ათასი ლარით მეტი .

გასული წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტის ბიუჯეტში მიღებული იყო 123,0 ათასი ლარის სხვა შემოსავალი,

სხვა შემოსავლების ყველა სახეში გეგმა შესრულდა გადაჭარბებით გარდა სანებართვო მოსაკრებლებისა და ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლებისა. თუმცა ჯარიმებიდან შემოსავლები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაორმაგებულია და წელს მიღებულია 100,7 ათასი ლარი. ხოლო წინა წლის პირველ კვარტალში მხოლოდ 58,0 ათასი ლარი იყო შემოსული.

ამასთან დაუგეგმავი შემოსავლების სახით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დაბრუნდა 33,8 ათასი ლარი 2017 წლის N 480 განკარგულებით გადარიცხული თანხებიდან.

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** პირველ კვარტალში დაგეგმილი 12,5 ათასი ლარიდან შემოსავლები არ მიგვიღია.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის** ხარჯები განისაზღვრებოდა 14 180,0 ათ. ლარი, პირველ კვარტალში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა 6 697,7 ათასი ლარით და განისაზღვრა 20 877,7 ათასი ლარი.

2023 წლის პირველი კვარტლის ხარჯები დაგეგმილი 5 420,6 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 3 754,7 ათასი ლარი, 69,3 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაწეულია 587,7 ათასი ლარით მეტი. 2022 წლის პირველ კვარტალში გაწეული ხარჯი შეადგენდა 3 167,0 ათას ლარს.

**ცხრ. N 2**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2023 წლის პირველი კვარტლის გეგმა | | | 2023 წლის პირველი კვარტლის შესრულება | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტი | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტი | საკუთარი შემოსავლები | |
| | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი | 5 420,6 | 1 873,7 | 3 546,9 | 3 754,7 | 716,6 | 3 038,1 | 69,3 |
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულება** | **1 267,2** | **28,8** | **1 238,3** | **1 054,0** | **28,8** | **1 025,2** | **83,2** |
| 01 01 01 | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 308,8 | 0,0 | 308,8 | 242,3 | 0,0 | 242,3 | 78,5 |
| 01 01 02 | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია | 881,3 | 0,0 | 881,3 | 778,2 | 0,0 | 778,2 | 88,3 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 33,8 | 28,8 | 5,0 | 31,9 | 28,8 | 3,0 | 94,2 |
| 01 01 04 | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | 3,0 | 0,0 | 3,0 | 1,6 | 0,0 | 1,6 | 54,1 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 15,3 | 0,0 | 15,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 01 02 02 | წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინასური უზრუნველყოფა | 24,9 | 0,0 | 24,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **1 517,1** | **1 328,9** | **188,2** | **477,3** | **367,2** | **110,1** | **31,5** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 1 117,1 | 1 057,7 | 59,4 | 176,4 | 159,4 | 17,1 | 15,8 |
| 02 01 01 | გზების კაპიტალური შეკეთება | 1 077,5 | 1 039,9 | 37,6 | 149,9 | 141,7 | 8,2 | 13,9 |
| 02 01 02 | გზების მიმდინარე შეკეთება | 1,6 | 0,0 | 1,6 | 1,3 | 0,0 | 1,3 | 83,8 |
| 02 01 04 | ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია | 18,0 | 17,8 | 0,2 | 17,8 | 17,6 | 0,1 | 98,6 |
| 02 01 05 | მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 20,0 | 0,0 | 20,0 | 7,4 | 0,0 | 7,4 | 37,2 |
| 02 02 01 | სასმელი წყლით უზრუნველყოფა | 8,5 | 0,0 | 8,5 | 7,7 | 0,0 | 7,7 | 91,0 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია | 95,7 | 0,0 | 95,7 | 76,3 | 0,0 | 76,3 | 79,7 |
| 02 04 | მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია | 50,0 | 50,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 02 05 | კეთილმოწყობა | 229,8 | 210,2 | 19,6 | 207,5 | 203,5 | 4,0 | 90,3 |
| 02 05 03 | კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია | 229,8 | 210,2 | 19,6 | 207,5 | 203,5 | 4,0 | 90,3 |
| 02 09 | სოფლის მხარდამჭერი პროგრამა | 16,0 | 11,0 | 5,0 | 9,4 | 4,4 | 5,0 | 58,5 |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **481,1** | **0,0** | **481,1** | **406,8** | **0,0** | **406,8** | **84,5** |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 419,6 | 0,0 | 419,6 | 358,1 | 0,0 | 358,1 | 85,4 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა | 52,6 | 0,0 | 52,6 | 47,9 | 0,0 | 47,9 | 91,2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 03 | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | 9,0 | 0,0 | 9,0 | 0,7 | 0,0 | 0,7 | 7,8 |
| **04 00** | **განათლება** | **1 033,9** | **398,5** | **635,4** | **886,4** | **289,7** | **596,7** | **85,7** |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 553,6 | 0,0 | 553,6 | 516,8 | 0,0 | 516,8 | 93,4 |
| 04 03 | მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა | 398,5 | 398,5 | 0,0 | 289,7 | 289,7 | 0,0 | 72,7 |
| 04 04 | სკოლების რეაბილიტაცია | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | #DIV/0! |
| 04 05 | ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი) | 28,3 | | 28,3 | 28,1 | | 28,1 | 99,2 |
| 04 06 | სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი) | 53,5 | 0,0 | 53,5 | 51,8 | 0,0 | 51,8 | 96,8 |
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **608,9** | **86,1** | **522,8** | **491,2** | **0,0** | **491,2** | **80,7** |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 258,2 | 86,1 | 172,1 | 159,3 | 0,0 | 159,3 | 61,7 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებები | 1,5 | 0,0 | 1,5 | 0,4 | 0,0 | 0,4 | 23,4 |
| 05 01 02 | სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა | 145,6 | 0,0 | 145,6 | 135,0 | 0,0 | 135,0 | 92,8 |
| 05 01 03 | სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა | 111,1 | 86,1 | 25,0 | 24,0 | 0,0 | 24,0 | 21,6 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 304,9 | 0,0 | 304,9 | 292,0 | 0,0 | 292,0 | 95,8 |
| 05 02 01 01 | სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა | 46,0 | 0,0 | 46,0 | 44,8 | 0,0 | 44,8 | 97,3 |
| 05 02 01 02 | კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა | 250,7 | 0,0 | 250,7 | 241,2 | 0,0 | 241,2 | 96,2 |
| 05 02 01 03 | ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა | 5,7 | 0,0 | 5,7 | 5,7 | 0,0 | 5,7 | 100,0 |
| 05 02 02 | კულტურის ღონისძიებების დაფინანსება | 2,5 | 0,0 | 2,5 | 0,3 | 0,0 | 0,3 | 11,6 |
| 05 03 | მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა | 26,6 | 0,0 | 26,6 | 24,9 | 0,0 | 24,9 | 93,5 |
| 05 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 15,0 | 0,0 | 15,0 | 15,0 | 0,0 | 15,0 | 100,0 |
| 05 05 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 4,2 | 0,0 | 4,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **512,3** | **31,3** | **481,0** | **439,0** | **30,8** | **408,2** | **85,7** |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 57,6 | 31,0 | 26,6 | 54,2 | 30,8 | 23,4 | 94,1 |
| 06 02 | ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა | 2,0 | 0,0 | 2,0 | 1,2 | 0,0 | 1,2 | 60,0 |
| **06 03** | **სოციალური დაცვა** | **452,7** | **0,3** | **452,4** | **383,6** | **0,0** | **383,6** | **84,7** |
| 06 03 01 | სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება | 122,5 | 0,0 | 122,5 | 118,9 | 0,0 | 118,9 | 97,0 |
| 06 03 03 | შშმ პირთა დახმარება | 19,8 | 0,0 | 19,8 | 13,3 | 0,0 | 13,3 | 67,2 |
| 06 03 04 | ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 56,6 | 0,0 | 56,6 | 56,3 | 0,0 | 56,3 | 99,5 |
| 06 03 05 | ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება | 7,4 | 0,0 | 7,4 | 7,4 | 0,0 | 7,4 | 100,0 |
| 06 03 06 | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება | 11,3 | 0,0 | 11,3 | 11,1 | 0,0 | 11,1 | 98,7 |
| 06 03 07 | მარტოხელა მშობლების დახმარება | 4,3 | 0,0 | 4,3 | 2,0 | 0,0 | 2,0 | 47,1 |
| 06 03 08 | მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება | 7,5 | 0,0 | 7,5 | 4,7 | 0,0 | 4,7 | 62,7 |
| 06 03 09 | ყოველთვიური დახმარება | 15,0 | 0,0 | 15,0 | 13,7 | 0,0 | 13,7 | 91,0 |
| 06 03 11 | ხანდაზმულთა დახმარება | 1,0 | 0,0 | 1,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 03 12 | საფლესასწაულო დღეების დახმარება | 46,5 | 0,0 | 46,5 | 45,3 | 0,0 | 45,3 | 97,3 |
| 06 03 13 | სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება | 5,0 | 0,0 | 5,0 | 4,9 | 0,0 | 4,9 | 98,0 |
| 06 03 15 | ახალშობილთა ოჯახების დახმარება | 10,0 | 0,0 | 10,0 | 7,2 | 0,0 | 7,2 | 72,0 |
| 06 03 16 | გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა | 0,3 | 0,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 03 17 | სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მმიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა | 42,3 | 0,0 | 42,3 | 23,8 | 0,0 | 23,8 | 56,3 |
| 06 03 18 | უფასო სასადილო | 58,5 | 0,0 | 58,5 | 56,5 | 0,0 | 56,5 | 96,7 |
| 06 03 19 | სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა | 20,0 | 0,0 | 20,0 | 14,2 | 0,0 | 14,2 | 71,0 |
| 06 03 20 | გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა | 7,5 | 0,0 | 7,5 | 1,2 | 0,0 | 1,2 | 16,0 |
| 06 03 21 | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება | 5,0 | 0,0 | 5,0 | 3,3 | 0,0 | 3,3 | 65,0 |
| 06 03 22 | არასრულწლოვანთა დახმარება | 12,5 | 0,0 | 12,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

**მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებაზე - პროგრამული კოდი 01 00** დაგეგმილი 1 267,2 ათასი ლარიდან გაწეულია 1 054,0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 83,2 %-ით,

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს** შესანახი ხარჯები დაგეგმილი 308,8 ათასი ლარიდან გაწეულია 242,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 78,5 პროცენტით.

**მუნიციპალიტეტის მერიის** შესანახი ხარჯები დაგეგმილი 881,3 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 778,2 ათასი ლარი, 88,3 პროცენტით.

**სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის** დაფინანსებაზე დაგეგმილი 33,8 ათასი ლარიდან გაწეულია 31,9 ათ. ლარი, აქედან საკუთარი სახსრებით 3,0 ათასი ლარი და დანარჩენი 28,8 ათ. ლარი მიზნობრივი ტრანსფერით.

2023 წლის თვითმმართველობის სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანებით გამოყოფილი და გადანაწილებულია 4,7 ათასი ლარი, აქედან 0,6 ათ. მიმართულია სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების

დახმარებაზე - პროგრამული კოდი 06 03 01; 1,6 ათასი ლარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარებაზე.

**ინფრასტრუქტურის განვითარება - პროგრამული კოდი 02 00,** 2023 წლის პირველი კვარტალში დაგეგმილი 1 517,1 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 477,3 ათასი ლარი. 31,5%, თუმცა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ინფრასტრუქტურის დაფინანსება გაზრდილია 134,5 ათასი ლარით. 2022 წლის პირველ კვარტალში ინფრასტრუქტურის დაფინანსებაზე ფაქტიურად გაწეული იყო 342,8 ათასი ლარი.

აღნიშნულ პრიორიტეტზე ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი ვერ შესრულდა გეგმის მიხედვით. შესრულების დაბალი პროცენტი გამოიწვია არა დაგეგმილი სამუშაების განუხორციელებლობამ არამედ შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებლობამ. დადებული ხელშეკრულების მიხედვით მერია თანხას ანაზღაურებს დაქირავებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. რომელიც ადასტურებს შესრულებული სამუშაოების პროექტთან შესაბამისობას, რომლის წარმოდგენის გარეშე მერია თანხის ანაზღაურებას ვერ მოახდენს. ამიტომ იანვრის დასაწყისშივე მოხდა ტენდერის გამოცხადება რომელიც ერთხელ ჩაიშალა და რამდენჯერმე გასაჩივრდა დავების საბჭოში, საბოლოოდ დავების საბჭომ მერია გაამართლა მაგრამ პროცესი გაჭიანურდა საკმაოდ, დღეის მდგომარეობითაც კი ხელშეკრულება გაფორმებული არ არის (გამოვლენილი პრეტენდენტი მოწვეულია ხელშეკრულების გასაფორმებლად) შესაბამისად ვერ ხორციელდება შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება. მიუხედავად ცუდი კლიმატური პირობებისა ამ ეტაპზე დასრულებულია და დასრულების ეტაპზეა 12 პროექტი, ასანაზღაურებელი თანხა კი შეადგენს 1 592 466 ლარს. რომ არა აღნიშნული პრობლემა რომელიც არ არის გამოწვეული მერიის რომელიმე სამსახურის უმოქმედობით ამ ეტაპისათვის დაგეგმილი ბიუჯეტის მაჩვენებელი ფაქტიურად შესრულებეულია გადამეტებით.

გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დახარჯულია 149,9 ათასი ლარი ძირითადად სახ. ფონდების ხარჯზე. მ. შ. საქ. მთავრობის 2023 წლის N 2475 განკარგულებით 96,0 ათასი ლარი, მათ შორის:

| საქართველოს მთავრობის N 2475 განკარგულება(29.12.2022) | | | |
|---|---|---|---|
| ხელშ.N | პროექტის დასახელება | შენიშვნა | გადარიცხული თანხა |
| 45 | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მაქათუბნის ორ უბანში გზის რეაბილიტაცია(II ეტაპი) | მრავალწლიანი | 24,824 |
| 41 | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი) | მრავალწლიანი | 6,295 |
| 34 | სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია(ცქიტიშვილების უბანი) | მრავალწლიანი | 6,745 |
| 206 | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია(მესერიძეების უბანი) II -ეტაპი. | მრავალწლიანი | 1,747 |
| 212 | სოფელ ნეზობირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია | მრავალწლიანი | 3,861 |
| 213 | სოფელ დეისის გზის რეაბილიტაცია(მეორე უბანი) | მრავალწლიანი | 6,378 |
| 21 | სოფელ ხიდარში გლუნჩაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია | | 17,700 |
| 22 | სოფელ წიფში გზის რეაბილიტაცია | | 28,500 |
| | სულ პირველ კვარტალში | | 96,050 |

სოფელ ღორეშაში იჩქიტიძეების, კაპანაძეების,მჭედლიძეების საუბნო გზის მობეტონებაზე 17,8 ათასი ლარი, მათ შორის: საქ. მთავრობის 2022 წლის N 75 განკარგულებით 12,8 ათასი ლარი და 5,0 ათასი ლარი საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით.

სოფ.ლაშეში სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლის აღდგენაზე სულ 34,2 ათასი ლარი, მათ შორის: საქ. მთავრობის 2017 წლის N 2712 განკარგულებით 19,4 ათასი ლარი, საქ. მთავრობის 2022 წლის N 330 განკარგულებით 4,8 ათასი ლარი და საქ. მთავრობის 2017 წლის N 1619 განკარგულებით 8,6 ათასი ლარი. და საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით 1,4 ათასი ლარი.

საპროექტო მომსახურებისათვის 1,8 ათასი ლარი საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით.

გზების მიმდინარე შეკეთებაზე დაიხარჯა 1,3 ათასი ლარი საკ. სახსრებით, ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მომსახურებაზე, ასევე ამ ქვეპროგრამით გაწეულია ტენდერის ხარჯი.

ხიდებისა და ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაციაზე გაწულია 17,8 ათასი ლარი, მათ შორის 17,7 ათასი ლარი საქართველოს მთავრობის N 131 განკარგულებით სოფელ ვაშლევში მდ. ვაშლევურაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის აღდგენაზე 0,1 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით დაზიანებული ხიდის პროექტის შესაძენად.

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად მიმდინარე წყლის პირველ კვარტალში დახარჯულია 7,5 ათასი ლარი მ. შ. ხარაგაული-რკინიგზის სადგური-საავადმყოფო-თეთრაწყარო-კიცხი - ფარცხნალი რეისზე 1,6 ათასი ლარი, ნადაბური-ხევი-ხარაგაულის რეისზე - 0,9 ათ.ლარი, ხარაგაულის სხლითის რეისზე - 1,2 ათასი ლარი, ხარაგაული-მოლითი- ზვარის რეისზე -3,0 ათასი ლარი და ხარაგაულის ვახანის რეისზე 0,8 ათასი ლარი. უკვე დასრულდა ტენდერი უბისა-ხუნევის რეისის მომსახურეობის შესყიდვაზე და უახლოეს პერიოდში მოხდება ამ მარშრუტის სუბსიდირება.

სასმელი წყლის უზრუნველსაყოფად პირველ კვარტალში დახარულია 7,7 ათასი ლარი, აქედან 1,6 ათასი ლარი დახარჯულია სოფლებში- იგორეთი, ვარძია, ხონისა და ფარცხნალში მოწყობილ ჭაბურღილებზე ელექტროგამანაწილებელ ქსელზე დასაერთებლად. ხოლო 6,1 ათასი ლარი დახარჯულია წინა წლის სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებულ ,,ლილეს წყაროს" დასრულების სამუშაობზე.

გარე განათების სუბსიდირებას მოხმარდა 76,3 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის ობიექტების რეაბილიტაციაზე დახარჯულია 207,5 ათასი ლარი აქედან 203,5 ათასი ლარი საქ. მთავრობის N 1419 განკარულებით მთლიანად მოხმარდა დაბაში კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაციის დასრულების სამუშაოებს, ხოლო 4,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით დაიხარჯა სკვერის საზედამხედველო სამუშაობზე.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით დაიხარჯა 9,4 ათასი ლარი აქედან 8,6 ათასი ლარი მოხმარდა სოფელ ვაშლევში სკვერის მოწყობას, აქედან 4,4 ათასი ლარი საქ. მთავრობის N277 განკარგულებით და 4,2 მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით. ხოლო დანარჩენი 0,8 ათასი ლარით მოხმარდა განათების ქსელის ელექტროენერგიაზე დაერთების სამუშაოების ანაზღაურებას ნადაბურსა ად ახალსოფელში.

**დასუფთავება და გარემოს დაცვა პროგრამული კოდი 03 00** დაგეგმილი 481,1 ათასი ლარიდან დაიხარჯა 406,8 ათასი ლარი, 84,5 %. მ. შ. ნარჩენების გატანაზე 358,1 ათასი ლარი და მწვანე ნარგავების მოვლაზე 47,9 ათასი ლარი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსება 78,0 ათასი ლარით არის გაზრდილი. 2022 წლის პირველ კვარტალში აღნიშნულ პრიორიტეტს მოხმარდა 328,8 ათასი ლარი.

**განათლებაზე- პროგრამული კოდი 04 00** 2022 წლის პირველ კვარტალში გათვალისწინებული 1 039,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 886,4 ათასი ლარი და დაფინანსებულია 85,7 პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე დახარჯულია 516,8 ათასი ლარი,
მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფისათვის დაიხარჯა 289,7 ათასი ლარი, სკოლა–პანსიონის სუბსიდირებაზე დახარჯულია – 28,1 ათასი ლარი,
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 51,8 ათასი ლარი

სულ განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაწეულია 104,9 ათასი ლარით მეტი ხარჯი. გასული წლის პირველ კვარტალში განათლებას მოხმარდა 886,4 ათასი ლარი.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - პროგრამული კოდი 05 00** დაგეგმილი 608,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 491,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 80,7 პროცენტით, აქედან სპორტის განვითარებაზე დახარჯულია 159,3 ათასი ლარი, საიდანაც 135,0 ათასი ლარი ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებას მოხმარდა. 24,0 ათასი ლარი დაიხარჯა სოფ ვერტვიჭალაში სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში ტრენაჟორების მონტაჟისა და ფანჩატურის მოწყობის პროექტის დასსრულებაზე .

კულტურის სფეროს განვითარებაზე დახარჯულია 292,0 ათასი ლარი აქედან: ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 4,8 ათასი ლარი, ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირებაზე 241,2 ათასი ლარი, ფოლკლორის ხელშეწყობაზე 5,7 ათასი ლარი და კულტურულ ღონისძიებებზე 0,3 ათასი ლარი;

ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირებაზე 24,9 ათასი ლარი; რელიგიის დაფინნასებას კი 15,0 ათასი ლარი მოხმარდა.

გასულ წლის პირველ კვარტალთან შედარებით მიმდინარე წელს კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების სფეროს დაფინანსებას მოხმარდა 132,2 ათასი ლარით მეტი. გასული წლის პირველ კვარტალში აღნიშნულ პრიორიტეტეზე დახარჯული იყო 359,0 ათასი ლარი.

**მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე პროგრამული კოდი 06 00**, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი 512,3 ათასი ლარიდან დაიხარჯა 439,0 ათასი ლარი, 85,27%. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 32,6 ათასი ლარით. 2022 წლის პირველ კვარტალში აღნიშნულ პრიორიტეტზე დახარჯული იყო 406,5 ათასი ლარი.

აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 54,2 ათასი ლარი, მ. შ. 30,8 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 23,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაციას მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით მოხმარდა 1,2 ათ. ლარი, რომელიც მთთლიანად ხევის ა/ე-ში ამბულატორიისათვის ფართის დაქირავების ხარჯის ანაზღაურებაზე დაიხარჯა.

სოციალურ პროგრამებზე დაგეგმილი 442,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 383,6 ათასი ლარი - 84,7 %, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2023 წლის პირველ კვარტალში 27,4 ათასი ლარით მეტია დახარჯული სოციალური დაცვის პროგრამებზე.

გაწეული სოციალური ხარჯებიდან მიმართულია:

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაზე 118,9 ათასი ლარი 231 ბენეფიციარზე; შშმ პირთა დახმარების პროგრამაზე 13.3 ათასი ლარი - 61 ბენეფიციარი; ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე

56.3 ათასი ლარი - 277 ბენეფიციარი; ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარებაზე 7.4 ათასი ლარი - 13 ბენეფიციარი ; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე 11.1 ათასი ლარი - 25 ბენეფიციარი; მარტოხელა მშობლების დახმარებაზე 2.0 ათასი ლარი - 14 ბენეფიციარი; მარჩენალდაკარგულთა დახმარებაზე 4.7 ათასი ლარი -24 ბენეფიციარი; ყოველთვიური დახმარების პროგრამაზე 13.7 ათასი ლარი - 91 ბენეფიციარი; სადღესასწაულო დღეების დახმარებაზე 45.3 ათასი ლარი - 492 ბენეფიციარზე; სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამაზე 4,9 ათასი ლარი - 20 განცხადება აქედან: ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაზე 7.2 ათასი ლარი - 43 ბენეფიციარი ; სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა 23.8 ათასი ლარი. 24 განცხადება; ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებაზე 3.3 ათ. ლარი - 13 ბენეფიციარზე, გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამაზე 1,2 ათასი ლარი - ერთ ბენეფიციარზე.

უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 56,5 ათასი ლარი - 160 მოსარგებლეზე, სასადილოში იკვებება დაბაში მცხოვრები 112 ბენეფიციარი კვირაში ექვსი დღე და დაბისა და ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები 98 ბენეფიაციარი, რომლებთანაც ხდება საკვების ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ. კვების ხარჯებმა შეადგინა 23,4 ათასი ლარი.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების და სსიპ-ის 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულება.**

| | ა(ა)იპების დასახელება | 2023 წლის პირველი კვარტლის გეგემა | 2022 წლის პირველი კვარტლის ფაქტი | მათ შორის | | | | სკუთარი შემოსავლების ხარჯვა ფაქტიურად | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | შრომის ანაზღაურება | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | სხვა დანარჩენი ხარჯები | არაფინანსური აქტივების ზრდა | სულ | მ.შ | |
| | | | | | | | | | შრომის ანაზღაურება | სხვა ხარჯები |
| 1 | სულ ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება მ. შ. | 576,9 | 483,0 | 300,6 | 0,0 | 180,0 | 0,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია ექსპლუატაცია | 95,7 | 76,3 | 22,5 | 0,0 | 53,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 419,6 | 358,1 | 230,2 | 1,7 | 125,5 | 0,7 | 0,0 | 0,0 | |
| | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა | 52,6 | 47,9 | 47,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | უპატრონო ცხოველების იზოლაცია | 9,0 | 0,7 | | 0,0 | 0,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 2 | ა(ა)იპ ე.კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება | 553,6 | 516,8 | 424,6 | 10,1 | 82,1 | | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 3 | სსიპ ბორის სკოლა პანსიონი | 28,3 | 28,1 | 27,7 | 0,0 | 0,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 4 | ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი | 53,5 | 51,8 | 49,5 | 0,0 | 2,3 | 0,0 | 0,2 | 0,0 | 0,2 |
| 5 | ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი | 145,6 | 135,0 | 99,8 | 0,0 | 8,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 | |
| 6 | ა(ა)იპ შ.ბუაჩიძის სამუსიკო სკოლა | 46,0 | 44,8 | 43,8 | 0,0 | 1,0 | 0,0 | 1,4 | 0,0 | 1,4 |
| 7 | ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი | 250,7 | 241,2 | 210,4 | | 30,,8 | | 0,0 | | 0,0 |
| 8 | ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი | 26,6 | 24,9 | 17,1 | 0,0 | 5,5 | 2,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 9 | ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი | 57,6 | 54,2 | 51,8 | | 2,4 | | 2,9 | 1,9 | 1,0 |
| 10 | ა(ა)იპ საათნოების სახლი | 58,5 | 56,5 | 26,3 | 0,0 | 30,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | 1797,3 | 1609,6 | 1251,6 | 11,8 | 343,2 | 3,0 | 4,5 | 1,9 | 2,6 |
| 11 | ფოლკლორი | 5,7 | 5,7 | 5,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სულ | 1803,0 | 1615,3 | 1257,3 | 11,8 | 343,2 | 3,0 | 4,5 | 1,9 | 2,6 |